პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 229 (11840)
შაბათი,
1
ოქტომბერი
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ხალხები დაიცავენ მშვიდობიან დღეებს დედამიწაზე

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი „იზვესტიის“ კორესპონდენტებთან

მშვიდობის დღემ — 1960 წლის 27 სექტემბერმა — საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვს საძრობლოდან შორს, გუძონის ნაპირებზე, ნიუ-იორკში მოუსწრო. აქ ნიკიტა სერგის-ძე სათავეში უდგას საბჭოთა დელეგაციას, რომელიც მონაწილეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობაში. მისი სამუშაო დღე ადრე დაიწყო: სესიის მორიგი სხდომის გახსნამდე ბევრად ადრე ნიკიტა სერგის-ძე საწერ მაგიდას უზის. იგი ათვალიერებს საქმიან ქაღალდებს. სამშობლოდან მიღებულ წერილებსა და დეპეშებს. გაზეთებს, დეპეშათა სააგენტოებისა და რადიოს ცნობებს.

დილით ნიკიტა სერგის-ძემ თავის რეზიდენციაში მიიღო ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ნაიმი და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.

ამის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი გაემართა გაერთიანებული ერების სასახლეში სესიის სხდომაზე. იქ იგი კულუარებში შეხვდა სხვა ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებს, მონაწილეობდა სესიის პლენარულ სხდომაში. ესაუბრებოდა ჟურნალისტებს.

დღისით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა წარმომადგენლობის შენობაში, რომელიც ნიუ-იორკის პარკ-ავენიუზე მდებარეობს, საბჭოთა მთავრობის მეთაური შეხვდა და მეგობრულად ესაუბრა სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ხელმძღვანელებს, რომლებიც სათავეში უდგანან თავიანთ დელეგაციებს გენერალური ასამბლეის სესიაზე. ამ შეხვედრამ ძმურ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

დღის მეორე ნახევარში ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის რეზიდენციაში მიიღო ნეპალის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი კოირალა, ხოლო საღამოს დაესწრო დარბაზობას, რომელიც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ გამართა.

ნ. ს. ხრუშჩოვი დაესწრო დარბაზობას, რომელიც მოაწყო ურუგვაის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ხელგამ. აგრეთვე იყო სადილზე, რომელიც ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ გამართა მთელი რიგი ქვეყნების დელეგაციების მეთაურთა პატივსაცემად.

ეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის სამუშაო დღე იყო.

გვიან საღამოს, როცა „იზვესტიის“ კორესპონდენტები ეწვივნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურს, ნიკიტა სერგის-ძე კიდევ თვალიერებდა სახელმწიფო ქაღალდებს, დეპეშებს, გაზეთების ცნობებს. ჩვენი თხოვნით მან გვიამბო თავისი სამუშაო დღის შესახებ გენერალური ასამბლეის სესიაზე —1960 წლის 27 სექტემბრის მშვიდობის დღის შესახებ.

— საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ 27 სექტემბერი ჩვენი კარგი, ნამდვილი სამუშაოთი დატვირთული დღე იყო. ჩვენ ყურადღებით ვუსმენდით ორატორებს, რომლებიც ამ მაღალი კრების ტრიბუნაზე ადიოდნენ, ავწონ-დაწონიდით და ერთმანეთს ვადარებდით თვალსაზრისებს. ახლა უკვე მსოფლიოს საზოგადო, პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეთა უდიდესმა უმრავლესობამ აღიარა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე შეუძლია განიხილოს და კიდევაც უნდა განიხილოს ყველაზე მწვავე, ყველაზე რთული საკითხები იმ საკითხთაგან, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას.

მინდა ერთხელ კიდევ დავასახელო ეს საკითხები: განიარაღება, ყველა კოლონიური ქვეყნისა და ხალხისათვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გადაუდებლად მინიჭება, სხვისი ტერიტორიების თავზე ამერიკის ავიაციის აგრესიული ფრენის დაგმობა და შეწყვეტა, ის საკითხი, რომ უფრო კონსტრუქციულად და სამართლიანად აიგოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმასრულებელი აპარატის მუშაობა.

სწორედ ეს საკითხები იდგა ასამბლეის დღევანდელი პლენარული სხდომის ყურადღების ცენტრში. სწორედ იმისათვის, რომ ეს და ბევრი სხვა პრობლემა დადებითად გადაიჭრას, გამოიარა საბჭოთა დელეგაციამ შორი გზა ნიუ-იორკისაკენ. საერთაშორისო დავის გადაწყვეტისათვის საჭიროა სიღინჯე და სიბრძნე. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ამ თვისებებს გამოიჩენს ყველა დელეგატი ასამბლეის სესიაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ თავის რიგებში მიიღო აფრიკის ახალი ახალგაზრდა სახელმწიფოები. ამან იგი კიდევ უფრო წარმომადგენლობითი ორგანიზაცია გახადა. ჩვენ მხურვალედ მივესალმეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალ წევრებს.

ხასიხარულო და სასიამოვნოა ჩვენი დიდი სამშობლოს სახელით გამოდიოდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზე. როცა ისეთი დიდი ხალხის, ისეთი მძლავრი სახელმწიფოს ინტერესებს წარმოადგენ, როგორიც საბჭოთა კავშირია, ძალები გემატება. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი დელეგაციის უკან დგას მთელი საბჭოთა ხალხი, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას სამართლიანი საქმე და მშვიდობა დედამიწაზე.

ჩვენი ხალხი ყოველთვის ამაყი და ძლიერი ხალხი იყო. ოცდაბუთი წლის წინათ როცა ჩვენ მარტონი ვიყავით კაპიტალიზმის ბობოქარ ტალღებში, როცა ნაკლები გვქონდა ქარხნები, ფაბრიკები, ქალაქები და ქუჩები, საბჭოთა მეურნეობები და უმაღლესი სასწავლებლები, მაშინაც გაბედულად ვუსწორებდით თვალს მომავალს. და ჩვენ მოვიგეთ ბრძოლა. ნამდვილისათვის. მაშ რა უსაზღვრო პორიზონტებია გადაშლილი ჩვენს წინაშე დღეს, როცა კაცობრიობის მესამედზე მეტი სოციალიზმის დროშით მიდის წინ!

მახსოვს 1935 წლის მოსკოვი, სადაც მე მაშინ მუშაობა მომიხდა, მახსოვს ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქები. ჩვენი ხალხი იმ დროს გრანდიოზულ სოციალისტურ მშენებლობას აჩაღებდა. პირდაპირ გოცებას ეძლევი, როცა ხედავ, როგორი გახდა მას შემდეგ ჩვენი სამშობლო!

ჩვენს დროს საბჭოთა კავშირი, მთელი სოციალისტური ბანაკი დიადი შეურყეველი ძალაა, რომელსაც უდიდესი ეკონომიური პოტენციალი აქვს. მომძე ქვეყნები შეეკავშირებიან არიან მაღალი კომუნისტური იდეალებით. დედამიწაზე ბედნიერების მისაღწევად იბრძვიან ისინი თავიანთი დიადი იდეალებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ხალხები დაიცავენ მშვიდობას დედამიწაზე.

მართალია, ამისათვის საჭიროა ყველა ხალხის მონაწილეობა მშვიდობისათვის ბრძოლაში. ამ პასუხსაგებ საქმეს მხოლოდ ერთი ან, ვთქვათ, ორი, სამი ხალხი ვერ განახორციელებს. მთელ მსოფლიოში ხალხთა ძალების ერთიანობა ის ციხე-სიმაგრეა, რომელსაც მშვიდობის მტრები ვერ აიღებენ.

აქედან, ამერიკის ნაპირიდან, საბჭოთა დელეგაცია მხურვალე სალამს გადაცემს ჩვენს დიდ ხალხს და პირობას აძლევს მას, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ შეასრულოს ხალხის მაღალი დავალება ჩვენს დედამიწაზე მშვიდობიანი დღეებისათვის ბრძოლაში.

ИЗВЕСТИЯ

1961 წლის ჩაის უხვი მოსავლისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება 1961 წლისათვის ჩაის პლანტაციების მომზადების ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებაში კმაყოფილებით აღნიშნულია, რომ საქართველოს მეჩაიეებმა შვიდწლედის მეორე წელს ბრწყინვალე წარმატებანი მოიპოვეს ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანაში. მეჩაიე რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა მშრომელმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და მოწინავე მეურნეობებისა და ნოვატორების გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვის გზით უზრუნველყვეს ვალდებულებათა წარმატებით შესრულება და ჩაბარეს სახელმწიფოს 155,5 ათასი ტონა ფოთოლი, 15 ათასი ტონით მეტი ვიდრე 1959 წელს, ვალდებულებით კი გათვალისწინებული იყო 145 ათასი ტონა.

ჩაის ფოთლის წარმოების გადიდებაში განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს ქობულეთის, მახარაძის, ზუგდიდის, გალის, ოჩამჩირის, ლანჩხუთის, ბათუმის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, ხობროწყუს, ტყიბულის, წყალტუბოს, ცხაკაიას და სხვა რაიონებმა. ჩაის პლანტაციების მშრომელებს ჩაის ფოთლის კრეფაში დიდი დახმარება გაუწიეს კომკავშირულმა ახალგაზრდობამ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების მოსწავლეებმა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სუბტროპიკული ინსტიტუტების სტუდენტებმა, აგრეთვე ახალციხის, ახალქალაქის, საჩხერის, ორჯონიკიძის, მესტიის, აბაშისა და სხვა რაიონების მშრომელებმა.

ახალი პასუხსაგები ამოცანებია დასახული საქართველოში მეჩაიეთა წინაშე შვიდწლედის მესამე წელს. ამოცანა ის არის, რომ შენარჩუნებულ იქნას მიღწეული წარმატებანი, მტკიცე საფუძველი ჩაეყაროს კიდევ უფრო დიდ წარმატებებს ჩაის წარმოებაში, მაგრამ, როგორც აღნიშნულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში, ჯერ კიდევ არის მთელი რიგი მეურნეობები, რომლებიც სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ჩაის პლანტაციების, განსაკუთრებით ახალგაზრდა ნარგავების მოვლას, იროვეკა აგროტექნიკური ღონისძიებანი, პლანტაციები დასარეკლიანებულია, რის შედეგადაც ჩაის ბუჩქები ცუდად ვითარდება და მცირე მოსავალს იძლევა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დასახეს მთელი რიგი ღონისძიებანი 1961 წელს ჩაის ფოთლის წარმოების გადიდებისათვის მტკიცე საფუძვლის შესაქმნელად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მოიწონეს ზუგდიდის რაიონის მშრომელთა თაოსნობა, რომლებმაც წამოიწყეს მეჩაიე რაიონების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება 1961 წლისათვის ჩაის პლანტაციების სანიმუშოდ მოსამზადებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის სსრ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მეჩაიე რაიონების პარტიის რაიკომებსა და რაიაღმასკომებს განიხილონ ზუგდიდის რაიონის მშრომელთა ძვირფასი ინიციატივა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა საერთო კრებებზე, დასახონ ჩაის პლანტაციების მოვლის გაუმჯობესების, 1961 წელს მათი მოსავლიანობის გადიდების კონკრეტული ღონისძიებანი.

რესპუბლიკურ, საოლქო, რაიონულ გაზეთებს დაევალათ სისტემატურად გააშუქონ პრესაში შემოდგომა-ზამთრის სამუშაოთა მსვლელობა და ის, თუ როგორ ასრულებენ ცალკეული მეურნეობები თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა განამტკიცონ მიმდინარე წლის წარმატებანი, სოფლის მეურნეობის მშრომელთა მთელ შემოქმედებითს ენერგიასა და ინიციატივას მოახმარენ იმას, რომ შექმნან მტკიცე ბაზა, „რომელიც უზრუნველყოფს ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღებას 1961 წელს.

(საქდესი).

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს

ამხანაგ მაო ძე-დუნს

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს

ამხანაგ ლიუ შაო-ცის

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეს

ამხანაგ ჯუ დეს

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს

ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა ხალხის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სახელით გულითადად მოგილოცავთ თქვენ და თქვენი სახით მთელ მოძმე ჩინელ ხალხს, ჩინეთის კომუნისტურ პარტიასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეთერთმეტე წლისთავს.

ჩინელი ხალხი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მე-11 წლისთავს ეგებება დიდი წარმატებებით სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. ჩინეთის მშრომელებმა თავიანთი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ძირეული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები განახორციელეს და, ახლა შეუპოვრად იბრძვიან იმისათვის, რომ გადააქციონ თავიანთი ქვეყანა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც ექნება თანამედროვე მრეწველობა, დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა. საბჭოთა ადამიანებს სულითა და გულით ახარებთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიღწევები.

საბჭოთა ხალხსა და ჩინელ ხალხს აკავშირებთ ურღვევი მეგობრობა, რომელიც შეესაბამება თანამედროვე ჩვენი ქვეყნის ძირეულ ინტერესებს.

საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ყველა სოციალისტური ქვეყნის მეგობრობა და დარაზმულობა თანამედროვეობის მძლავრი ფაქტორია, რაც ამეამად გადამწყვეტ გავლენას ახდენს კაცობრიობის განვითარების მთელ მსვლელობაზე.

სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც მტკიცედ იბრძვიან სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განხორციელებისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, ამხილებენ რა იმპერიალისტური ერეკების აგრესიულ ხრიკებს, თანამიმდევრულად ახორციელებენ ყველა ხალხის მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას, იცავენ მშვიდობისა და უშიშროების საქმეს დედამიწაზე.

ვუსურვებთ დიდ ჩინელ ხალხს ახალ დიდ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მე-11 წლისთავს!

გაუმარჯოს მომძე ჩინელ ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა და ჩინელი ხალხების მარადიულ და ურღვევ მეგობრობას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის
პირველი მდივანი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
ნ. ხრუშჩოვი

სსრ კავშირის უმაღლესი
საბჭოს
პრეზიდიუმის
თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი

1960 წლის 30 სექტემბერი.

ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა ვ. გომულკასთან

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი იუწყება:

29 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საბჭოთა წარმომადგენლობის შენობაში პარკ-ავენიუზე გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურთან ვ. გომულკასთან.

საუბარში, რომელმაც გულითადი მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა, მოხდა აზრთა გაზიარება გენერალური ასამბლეის მუშაობისა და სხვა საერთაშორისო საკითხებზე.

ნ. ს. ხრუშჩოვმა საუზმე გამართა ჰ. ნეჰრუმას პატივსაცემად

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საქდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი იუწყება: 29 სექტემბერს დილით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საბჭოთა წარმომადგენლობის შენობაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა საუზმე გამართა განის პრეზიდენტის კ. ნკრუმას პატივსაცემად.

საუზმის დროს, რომელმაც გულითად მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მოხდა აზრთა გაზიარება კოლონიალიზმის ლიკვიდაციის, კონგოს მდგომარეობის, განიარაღების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობის საკითხებზე, საბჭოთა კავშირ-განის ურთიერთობისა და ორივე მხარისთვის საინტერესო სხვა საკითხებზე.

საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საბჭოთა დელეგაციის წევრები და განის რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალური პირები.

ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა ჰ. მაკმილანს

ნიუ-იორკი, 30 სექტემბერი. (საქდესი). 29 სექტემბერს საღამოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საბჭოთა წარმომადგენლობაში პარკ-ავენიუზე გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან ჰ. მაკმილანთან.

გაიმართა აზრთა გაზიარება, რომლის მსვლელობაში შეეხნენ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებს, მათ შორის იმ საკითხებსაც, რომლებსაც განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ა. ა. გრომიკო, ა. ჰიუმი და სხვა ოფიციალური პირები.

ჩემი რესპუბლიკის დღე

40

რიაზანელი სტუმრები

დიდი ზეიმია ამ დღეებში თეთრი წყაროს რაიონში. საკოლმეურნეო სოფლებში, რომლებიც საზეიმოდ არის მორთული, კოლმეურნეები გულითადი სიყვარულით იღებენ თავიანთ რიაზანელ ძმებს, რომლებიც მეოთხე დღეა, რაც ჩვენს რესპუბლიკაში იმყოფებიან.

გუშინწინ სასოფლო რაიონის მშრომელთა დელეგაცია ესტუმრა ბორბალოს კოლმეურნეობას. აქ რუს მეგობრებს სოფლის საზღვარზე ქართული პუმბარიელით შეხვდნენ კოლმეურნეობის გამგეობის წევრები თავმჯდომარის ვ. ელიზბარაშვილის მეთაურობით.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო მეგობრებო! — თქვა კომბაინერმა ილია ნიაზაშვილმა, რომელმაც სტუმრები მიიპატიჟა სიმინდის ყანაში, სადაც სიმინდის ასაღები კომბაინი გუგუნებდა.

სასოფლელებს ძალზე მოეწონათ, რომ კომბაინი, რომელსაც ი. ნიაზაშვილი და ტრაქტორისტი შალვა მგალობლიშვილი მართავდნენ, მოქმედებდა შეუფერხებლად. ამ კოლმეურნეობაში წარმატებით ხორციელდება სიმინდის წარმოების კომპლექსური მექანიზაცია, რამაც საგრძნობლად გააიაფა ცენტნერი სიმინდის ღირებულება.

სტუმრები იყვნენ კოლმეურნეობის ვენახებსა და ბაღში.

ზეიმით შეხვდნენ სტუმრებს სოფელ ასურეთში. სასოფლელებმა ინტერესით მოისმინეს არტელის თავმჯდომარის ნიკოლოზ ნადირაძის და პარტბიუროს მდივნის ასლან ბეკანიშვილის საუბარი, რომლებმაც ილაპარაკეს ასურეთელთა წარმატებასა და მათი მუშაობის გამოცდილებაზე. შარშან ამ არტელის ფულადი შემოსავალი შეადგენდა 2 მილიონ 800 ათას მანეთს. მიმდინარე წელს 7 მილიონ მანეთზე მეტ შემოსავალს ვარაუდობენ. ასურეთელებს გადაწყვეტილი აქვთ ვადამდე გაანაღდონ ნაკისრი ვალდებულება — სახელმწიფოს მიჰყიდონ სამჯერ მეტი ხორცი, ვიდრე ამას წლიური გეგმა ითვალისწინებს.

სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა მექანიზებულმა მარანმა, რომელიც 1 მილიონ დეკალიტრ ღვინოს იტევს. საქართველოს სსრ დამსახურებულმა აგრონომმა ე. კაკულიამ, რომელიც მარანს ხელმძღვანელობს, სტუმრებს გააცნო ქართული ღვინოების დაყენების ტექნოლოგია. ასურეთელებს ამჟამად 110 ჰექტარი ვენახი აქვთ. შვიდწლედის ბოლოს ეს ფართობი 220 ჰექტარამდე გაიზრდება.

სტუმრებს გულითადი საუბარი ჰქონდათ კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანებთან.

გუშინ თეთრწყაროში შედგა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული თათბირი, დარბაზში მყოფნი მჭეხარე ტაშით და მისალმების შეძახილებით შეხვდნენ რიაზანელ მეგობრებს.

პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ა. ბეკაური ლაპარაკობს იმ წარმატებებზე, რასაც რაიონის მშრომელებმა სასოფლოელებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში მიაღწიეს.

— როცა ჩვენ შეჯიბრებაში გიწვევდით,—ამბობს ამხანაგი ა. ბეკაური,— ვიცოდით თუ რა ძლიერ მეტოქესთან გვექნებოდა საქმე, მაგრამ ამავე დროს, ჩვენ თქვენი ძმური დახმარების იმედიც გვქონდა. ასეც მოხდა. გამოცდილების ურთიერთ გაზიარების შედეგად, ჩვენი რაიონის მშრომელები იბრძვიან იმისათვის, რომ შვიდწლედის ბოლოსათვის ხორცის წარმოება 1958 წელთან შედარებით გაადიდონ 14-ჯერ, ხოლო რძისა — 9-ჯერ. პირველი წარმატებები გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ამ საპატიო ამოცანას აუცილებლად შევასრულებთ.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან თეთრი წყაროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გ. ბილაევი, სასოფლო რაიონის კოლმეურნეობა „პუტ ლენინას“ თავმჯდომარე მ. გ. მელინი, სამჭოთა მეურნეობა „სვაბოდას“ დირექტორი ვ. ი. პიცანენიკი, მწველავი თ. მიგრიაული, მეფრინველე გ. ეფრემენკო, კომკავშირის რაიკომის მდივანი თ. კაკულიძე, კოლმეურნეობა „პროგრესის“ თავმჯდომარე თ. როდკინი და სხვები.

სიტყვას ამბობს დელეგაციის მეთაური პ. ნ. პოლიაკოვი: ჩვენი გონებიდან არასოდეს არ წაიშლება თქვენი ძმური მასპინძლობა, ასეთი შეხვედრა მხოლოდ ბეშმარიტ მეგობრებს შეეძლოთ. გაუმარჯოს ხალხთა მეგობრობას! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, რომელიც სწორედ ამ დღეებში დაძაბულ ბრძოლას ეწევა შორეულ ნიუ-იორკში მშვიდობის დასაცავად. დარბაზში კვლავ გაისმის მჭეხარე ტაში ჩვენი დიადი სამშობლოსა და საბჭოთა ხალხის პატივსაცემად.

რიაზანელ მეგობართა საქართველოში ყოფნა კიდევ ერთი ახალი ფურცელია საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის ოქროს წიგნში.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: რიაზანელი სტუმრები ეხუბრებიან თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდას ა. ოძელაშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს.

ფოტო მ. როსტიაშვილისა.

ახალი შრომითი გამარჯვება

გურჯაანის რაიონმა 28 სექტემბერს 102 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის მატყლის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოსათვის მატყლის მიყიდვა გრძელდება. (საქდესი).

ლაგოდეხის რაიონის მშრომელებმა შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს აბრეშუმის პარკის მოყვანის საქმეში. მათ 25 სექტემბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 170 ტონა აბრეშუმის პარკი, რაც 24 ტონით აღემატება გეგმით გათვალისწინებულ ოდენობას.

ლაგოდეხელებმა ორ წელიწადში უზრუნველყვეს აბრეშუმის პარკის მოყვანის შვიდწლიანი გეგმის შესრულება.

2 ოქტომბერი ჩაის უხვი მოსავლის დღესასწაულის დღეა

გეგეჭკორელთა სიტყვა

გეგეჭკორი. (ტელეფონით „კომუნისტის“ კორ.). რაიონის მეჩაიეები, რომლებმაც წელს გეგმით გათვალისწინებული 6.840-ის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 7.400 ტონა ჩაის ხაოსხოვანი მწვანე ფოთოლი, დიდი მოწონებით შეხვდნენ ზუგდიდის რაიონის მეჩაიეთა მიმართვას.

რაიონის მეჩაიეები კისრულობენ მომავალ წელს შეასრულონ ჩაის მოსავლიანობის ზრდის შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანა, ჰექტარზე მიიღონ 3.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი; 175 ჰექტარზე გააშენონ ჩაის ახალი პლანტაციები. საამისოდ უკვე მზად არის მიწა. ჩაის თესლის მომწიფებისთანავე შეუდგებიან ამ სამუშაოს.

რაიონის მეჩაიეები მიესალმებიან ზუგდიდელთა ინიციატივას — 2 ოქტომბრის ჩაის უხვი მოსავლის მოყვანაში მიღწეული გამარჯვებების საზეიმო დღედ გამოცხადებას.

ჩაის დღესასწაულის ჩატარების საკითხზე საუბარში პარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. კ. ხუბულავამ განაცხადა:

— 2 ოქტომბერს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოეწყობა მშრომელთა მასობრივი სეირნობა. თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების მონაწილეობით კულტურის სახლებში გაიმართება მრავალფეროვანი მხატვრული საღამოები. ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში გამარჯვებულებს გადაეცემათ გარდამავალი წითელი დროშები. გათვალისწინებულია სხვა ღონისძიებებიც.

ორი ოქტომბერი გადაიქცევა ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში გამარჯვების სახალხო ტრადიციულ დღესასწაულად.

მაღაროელთა წარმატება

ჭიათურა. (საკ. კორ). სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია წინასოფლტემბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ნიკოპოლის 40 წლისთავის სახელობის მაღაროსთან, ახალი გამარჯვება მოიპოვა. მაღაროელებმა 27 სექტემბერს შეასრულეს 10 თვის გეგმა და უკვე ნოემბრის ანგარიშში იძლევიან მარგანეცს. მაღარო ყველა მაჩვენებლის მიხედვით ასრულებს გეგმას. მაღაროს კოლექტივმა იკისრა 15 ნოემბრისათვის შეასრულოს წლიური გეგმა.

ხვავდება შაქრის ჭარხალი

სტალინირი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). გაჩაღდა შაქრის ჭარხლის აღება სტალინირისა და ზნაურის რაიონის კოლმეურნეობებში.

სოფელ ქსუისის კოლმეურნეობამ უკვე 30 ჰექტარზე აიღო და სახელმწიფოს ჩააბარა 1.500 ცენტნერი ჭარხლის მოსავალი.

ჭარხლის მაღალ მოსავალს მოელიან სტალინირის რაიონის ერედვის, ფმინისს და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

მ. ზასლავსკი.



ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა ა. ბოლესლავ ბიერუტს

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საქდესი). 29 სექტემბერს ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ა. გრომიკო, ლ. ფ. ილიჩოვი, ა. ა. ფედოროვი, ა. ი. ანტონოვ-ოვსეენკო, ვ. ვ. ტალანოვი, ა. ა. ბეგეზინი, ნ. ტ. ფედორენკო, ა. ა. ფიერუბინი, ა. ნ. ტოლსტოი, ა. ა. ბელეცკაია, ა. ა. ბეგეზინ-ბეგეზინი, ა. ა. ბეგეზინ-ბეგეზინ, ა. ა. ბეგეზინ-ბეგეზინ, ა. ა. ბეგეზინ-ბეგეზინ

მარქსისტულ-ლენინური განათლება—მასებს!

★ ★ ★ ★

ვსწავლობთ წარსულს, რომ უკეთ ვაშენოთ მომავალი

ცამეტი წელი გავიდა, რაც ეს სერიოზული და საპატიო საქმე მავალია. ოცი როდია კარგი პროპაგანდისტი იყო. ამას იმთავითვე ვგრძნობდი და ბევრს ვმუშაობდი. ძირითადი ლიტერატურის გარდა ვკითხულობდი დამხმარე, მხატვრულ ლიტერატურას. იქიდან მოხდენილ გამოთქმებს, აფორიზმებს ვიწერდი და მათ მეცადინეობისას საუბარში ვიყენებდი. ეს მსმენელებში ხალისსა და ინტერესს იწვევდა.

პროპაგანდისტისათვის მთავარია კარგად იცნობდეს მსმენელებს, მათს უნარს, გემოვნებას, მისწრაფებას. თუ ეს იცი, მაშინ ძნელი აღარ არის საერთო ენის გამონახვა, მათთან მიდგომა. მაშინ ადვილია რით დაიწყო საუბარი და სად დაამთავრო. სრულებითაც არ ვფიქრობ, რომ პროპაგანდისტული მუშაობის სრულყოფას მივაღწიე. პროპაგანდისტული მუშაობა შემოქმედებითი საქმეა და მას ვიწრო ჩარჩოებში ვერ მოაქცევ, მაგრამ გავბედავ და ვიტყვი, რომ გამოცდილება შეიძინე და მას შეძლებისამებრ ვიყენებ.

წელს მეცადინეობა უფრო სახალისო და შინაარსიანი იქნება. 21 მაღაროელია გაერთიანებული ჯგუფში. უმრავლესობას საშუალო განათლება აქვს. თავისუფლად შეუძლიათ პირველწყაროების გამოყენებაც. გულმოდგინედ ვისწავლით ჩვენი დიადი პარტიის სახელოვან ისტორიას. ბევრ მსმენელს უკვე ვესაუბრე. ომედი მაქვს წარჩინებით ისწავლიან მარგანეცის მბურღავი უ. მოდებაძე, მებიგე ი. ბარბაქაძე, ელმავლის მემანქანე თ. გაფრინდაშვილი, ზეინკალი ვ. გოგატიშვილი და სხვები.

ახლოვდება საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავი. ეს მდიდარი და კეთილშობილური თემაა პროპაგანდისტისთვისაც. გადაწყვეტილი მაქვს რამდენიმე საუბარი საბჭოთა საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ აღორძინება-განახლებას მივუძღვნა. ზოგიერთი მასალა უკვე შევაგროვე საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევებზე. ცალკე უნდა გამოვყო მარგანეცის ქალაქისა და განსაკუთრებით ჩვენი მაღაროს კოლექტივის მიღწევები. კონკრეტული მაგალითებით ვუჩვენებ დიდ კონტრასტს ძველ და ახალ ჭიათურას შორის. ამას დიაგრამებსა და პლაკატებშიც გამოვსახავთ და თვალსაჩინო ადგილზე გამოვფენთ. აი ერთ-ერთი ასეთი მასალა:

წინათ	ეს მაღარო უცხოელ კაპიტალისტს ფორვუდ-სელარს ეკუთვნოდა. მუშაობა პრიმიტიული მეთოდებით წარმოებდა. ჭვარტლიანი ჩრაქი და უხეირო წერაქვი იყო მაშინ მუშის თანამგზავრი.
ახლა	ხომ თითქმის ყველაფერი ელექტრონით კეთდება. ჩვენთან მუშაობენ მძლავრი ექსკავატორები, ელმავლები, მადნის მომზგრევი პნევმატური ჩაქუჩები, ინერგება მარგანეცის სატვირთო ელექტრომანქანები. ამას ემატება მაღაროელთა თავდადებული შრომა, და მაღაროს წარმადობა 50-ჯერ მაინც გაიზარდა.

ჩვენი მაღაროს კოლექტივი მტკიცედ ინარჩუნებს რესპუბლიკაში პირველობას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. ძირფესვიანად შეიცვალა მაღაროელთა ყოფა-ცხოვრება.

როცა საუბარი გვექნება ძველსა და ახალ ჭიათურაზე, მაშინ წრის მსმენელებს შევახვედრებთ ძველ მაღაროელებს, ლენინის ორდენოსნებს ლ. ღუღუნიშვილს და შ. გაფრინდაშვილს. ისინი მოგვითხრობენ, როგორი დუხჭირი და აუტანელი იყო მუშების შრომა და ცხოვრება წინათ.

ეს კარგია პროპაგანდისტულ მუშაობაში, გადმოიღეთ!

გადაწყვეტილი გვაქვს აგრეთვე წრის მსმენელები შევახვედროთ ძველ რევოლუციონერებს ა. გოცაძეს და ნ. მელქაძეს, რომლებიც იარაღით იბრძოდნენ საბჭოთა საქართველოსთვის. წრის მსმენელები მოისმენენ მათს მოგონებებს. წრის ახალგაზრდა მსმენელებს მოვუთხრობთ ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზრდის, კომკავშვილის ჭიათურის რაიკომის მდივნის, ნაბეჭდ გაზეთ „ახალგაზრდა მაღაროელის“ რედაქტორის შალვა სოფრომაძის სახელოვან ცხოვრებაზე, რომელიც 1924 წელს გმირულად დაიღუპა საბჭოთა საქართველოსათვის ბრძოლაში.

გზადაგზა მოვაწყობთ ექსკურსიებს. მსმენელები თბილისში არა მარტო ისტორიულ ადგილებს დაათვალიერებენ, არამედ ინახულებენ საბჭოთა საქართველოს ზრდა-აყვავების მკაფიო ობიექტებს. დავათვალიერებთ ი. ბ. სტალინის ჭიათურის სახლ-მუზეუმს, სადაც ნაჩვენებია ძველი ჭიათურა.

ვნახავთ კინოფილმებს, რომლებშიც ასახული იქნება საბჭოთა საქართველოს გმირული წარსული და ბედნიერი აწმყო.

სახელოვან წარსულს იმიტომ ვისწავლით გულმოდგინედ, რომ უკეთ ვიმუშაოთ, რომ მომავალი უკეთ ვაშენოთ.

პ. კაპანაძე.

ჭიათურის მ. ი. კალინინის სახელობის მაღაროს სკკპ ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი.

მტევნეგით დაიხუნძლა ვაზი...

კარგი ამინდებია რთველისათვის მზადების ამ დღეებში ამბროლაურის რაიონში. არც წვიმებია და არც ქარი აწუხებს მტევნებით დახუნძლულ ვაზებს. სექტემბრის განაზებული მზის სხივები უხვად აშაქრიანებენ ალექსანდრეულს გიმრურეთ შავსა და რაჭული თეთრას მარგალიტისფერ ყურძენს.

სამტრესტის ამბროლაურის ქარხანათა სამმართველოს სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ყურძნის შაქრიანობა ამჟამად რაიონში ყოველდღიურად 0,70-0,75 პროცენტით მატულობს და კიდევ ორიოდე დღეა საჭირო, რომ ხვანჭკარელი ნახეკარადტბელი ღვინის დედა ყურძენი კონდიციური გახდეს. ამის მიხედვით გასაზღვრეს აქ რთველის დაწყების ვადა, ამ გაანგარიშების მიხედვით წარმორთეს რთველისათვის მზადების ყველა სამუშაო.

ყურძნის მიღება-გადამუშავება რაიონში ხორციელდება სამ ადგილას — ჭრებალოს, ხვანჭკარის და ამბროლაურის ღვინის ქარხნებში. სამივე ქარხანაში მზად არიან ყურძნის მასობრივად მიღებისათვის. გარეცხილი, დასუფთავებული და დაორთქლილი უწყვიათ ტარა-ყასრები, კოდები, ბუტები, ბამართული, შემოწმებული და სრულ მზადყოფნაში აქვთ ყურძნის გადასამუშავებელი დანადგარები, სასწორები და სხვა ინვენტარი. მხოლოდ ტრანსპორტის ნაკლებობას განიცდიან, რამაც შესაძლოა ყურძნის გადაზიდვაში ხელი შეუშალოს რაიონის მშრომელებს, რომლებმაც იფისრეს წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ ბევრად მეტი ყურძენი, ვიდრე შარშან, და გაცილებით მეტი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

ჭრებალოს ღვინის ქარხნის უფროსმა მელვინემ გ. გაბისიანმა გადმოგვცა, რომ ალმეურნეების საკარმიდამო ნაკვეთებიდან ყურძნის შეუფერხებელი შემოზიდვისათვის მათ 4 სატვირთო ავტომანქანა მაინც უნდა ჰყავდეთ თავიანთ განკარგულებაში, რათა ვენახებიდან ყურძენი ღამეგაუთენელად მიიტანონ ქარხანაში და მოკრეფიდან რამდენიმე საათის განმავლობაში დაწურონ.

ასევე სჭირდებათ სულ ცოტა 3 სატვირთო ავტომანქანა ხვანჭკარის ღვინის ქარხანაში, რომელმაც ყურძნის მიღება-გადამუშავებით მომსახურება უნდა გაუწიოს 7 სოფელს, მათ შორის ისეთ დაშორებულ სოფლებს, როგორიც არიან ბოსტანა, გორისუბანი და სხვ. 5 სატვირთო კარბიანი ავტომანქანა დასჭირდება ყოველდღიურად რთველის დღეებში ამბროლაურის ღვინის ქარხანას. საქმე ის არის, რომ ავტოტრანსპორტის ადგილებრივი პარკიდან ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელია, რადგან თითქმის ყველა კოლმეურნეობაში ავტომანქანები საბუთრავების უქონლობის გამო დგანან.

საჭიროა რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სამტრესტის ხელმძღვანელებმა მიიღონ ზომები მევენახეების ავტოტრანსპორტით უზრუნველყოფად.

დ. ლომთაძე.

ოქროს ფონდი

საბიოდე წელია, რაც ქუთაისში ავეჯის ახალი ფაბრიკა ამუშავდა. ახალგაზრდა საწარმოს კოლექტივს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან წარმატებით დაძლია ზრდის სიძნელეები და მოკლე ხანში გაუთქვა სახელი თავის პროდუქციას.

ფაბრიკას დღემდე საეჭვო ორგანიზაციებისაგან არც ერთი პრეტენზია ან რეკლამაცია არ მიუღია. ეს კი იმის ნიშნავს, რომ მომხმარებელიც კმაყოფილია. დიდი მოწონებით სარგებლობს აქ დამზადებული უმაღლესი კლასის მრგვალი, გასაშლელი სასადილო მაგიდები, სერვანტები, რადიომიმღების მაგიდები. პროდუქციის ასორტიმენტი სულ უფრო ფართოვდება. წელს ითვისეს იაფი მრგვალი სასადილო მაგიდების, სასადილო ოთახის სკამების, მცირეგაბარიტიანი წიგნების კარადის წარმოება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის მეორმოცე წლისთვის აღსანიშნავად ფაბრიკაში შექმნეს ორიგინალური კონსტრუქციის კომბინირებული კარადა. იგი შეიცავს წიგნის კარადას; გადმოსაშლელ ლამაზ საწერ მაგიდას და საჭადრაკო დაფას. კომბინირებული კარადის სერიულ გამოშვებას წლის ბოლომდე შეუდგებიან.

პროდუქციის ხარისხთან ერთად ფაბრიკის კოლექტივი განუხრელად აუმჯობესებს ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს. განვლილ რვა თვეში დიდძალი ზეგეგმითი ავეჯი გამოუშვეს.

ამ წარმატებებს საფუძვლად დაედო ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. მოკლე ხანში ფაბრიკაში დაინერგა სალოტრგლო ფილების ცხლად დაწნეხვა, განხორციელდა დაფანერებული ზედაპირის გახეხვის მექანიზაცია, ნარჩენების პნევმატური ტრანსპორტირება.

ფაბრიკა ფართოვდება. სწრაფი ტემპით შენდება ახალი საწარმოო კორპუსები, დამხმარე ნაგებობანი. უკვე 1962 წლისთვის აქ ავეჯის გამოშვება სამჯერ გადიდდება.

მეტი, ლამაზი და გამძლე ავეჯისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში ათობით ადამიანი დაწინაურდა. ყოველდღიურ დავალებებს 150-160 პროცენტით ასრულებენ ამწყობი მ. ფაქიძე, დურგალი გ. გიგაური, დამფანერებელი ნ. კაჭარავა და მედაზგე ა. თავიდაშვილი.

ფაბრიკის ოქროს ფონდია მისი ახალგაზრდობა, რომელიც აქ სიმწიფის ატესტატით მოვიდა და უკვე მთელი კოლექტივის 90 პროცენტს შეადგენს.

შ. ჯავახაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

გვწერენ ჩვენი მკითხველები

მცხეთის ხეხილის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში, რომელიც ამ სამი წლის წინათ დაარსდა წეროვნის მინდორზე, ხეხილის — ატმის, გარგარის, ვაშლისა და კომშის მრავალი ჯიშის ნერგი გამომყავთ. გარდა ამისა, დაამყენეს 410.000 ძირი ჩინური და ალიგოტეს ჯიშის ვაზი. მეურნეობამ წელს მაღალი ხარისხის ვაზისა და მრავალი ჯიშის ხეხილის ნახევარ მილიონზე მეტი ნერგი მიჰყიდა მცხეთის და მეზობელი რაიონების კოლმეურნეობებს.

გ. ხუტაშვილი.

საქართველოს სსრ კავშირგამგზავნილობის სამინისტრომ კარგი საფოსტო მომსახურებისათვის სსრ კავშირის კავშირგამგზავნილობის სამინისტროს საპატიო სიგელით სხვებთან ერთად დაჯილდოვა თერჯოლის რაიონის 9 კოლმეურნეობის გამგეობა, ხოლო ფულით — ამ კოლმეურნეობათა ფოსტალიონები, მათ შორის სოფელ სიჭითარის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ფოსტალიონი ი. ფოფხაძე და სოფელ ღვანკოთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფოსტალიონი დ. რობაქიძე.

ვ. კუტალაძე.

თიანეთის რაიონში სიონის წყალსაცავის მშენებლებმა სოფელ ღულელებიდან ნაქალაქრამდე 6 კილომეტრის მანძილზე სასოფლო გზაზე დაამთავრეს 3.000 კუბური მეტრი ხრეშის დაყრა და მოსწორება. მალე ამ გზაზე ავტობუსი იმუშავებს.

მ. ხორნაული.

პარტიული ქრონიკა

რომ მეცადინეობა ორგანიზებულად დაიწყოს

ბათუმი. (საკ. კორ.). პროპაგანდისტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხს მიეძღვნა საოლქო თათბირ-სემინარი, რომელიც 26 სექტემბერს მოეწყო.

მოხსენება გააკეთა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ლ. დავითაძემ.

აჭარის ასსრ მინისტროთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. თხილაიშვილმა მოუთხრო თათბირ-სემინარის მონაწილეებს თემაზე: „აჭარის სახალხო მეურნეობა შვიდწლეულში“. თათბირ-სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე ლექციები: ამხ. ს. მენაბდისა „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე და ამხ. კ. კეთილაძისა „პოლიტიკური სიფხიზლის შესახებ“.

თათბირ-სემინარზე გამოქვეყნდა სია იმ პროპაგანდისტებისა, რომლებიც ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის საპატიო წიგნში ჩაიწერნენ.

რუსთავი. (საკ. კორ.). ქალაქის პარტიული ორგანიზაციები წელს ახლებურად მოაწყობენ სწავლებას პარტიული განათლების ქსელში. გასული წელთან განსხვავებით აქ შეიქმნა სწავლების ახალი ფორმები. მაგალითად, პრაქტიკაში წელს პირველად შეუდგებიან მუშაობას პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი დაწყებითი წრეები, რომლებიც განკუთვნილია დაბალი განათლების მუშებისათვის. ასევე პირველად დაიწყებენ მუშაობას კომუნისტური აღზრდის მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელი სემინარები (ძირითადად სასკოლო პარტიულ ორგანიზაციებთან), მომიდნარე პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის შემსწავლელი წრეები, ათეისტური საკითხების შემსწავლელი სემინარები და სხვ.

პროპაგანდისტებისაგან დახმარების მიზნით წელს პირველად შემოიღებენ პრაქტიკაში პროპაგანდისტთა სკოლებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული განათლების რესპუბლიკური სახლი.
სურათზე: ლექტორები მორიგი საუბრისათვის ემზადებიან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ილამას გვერდით მეორე მწვერვალი წურეგნალია. ამ ადგილებიდან იწყება ენგურის ძმა.— ცხენის წყალი. ვახუშტის თქმით, ცხენის წყალს წინათ მდინარე თაკვერი რქმევია, მაგრამ „ოდეს მოაშთო ცხენნი ანაკოფიდან უკუქცეულ მურვან ყოსს სპათა, ამისათვის უწოდეს ცხენის წყალი“. ამ ღვარცოფიანი მდინარის ვეებერთელა ხეობა აღრე „სადადიანო სვანეთი“ ყოფილა, ლაშხეთის, ჩოლურის და ლენტეხის თემებად დაყოფილი. აქლა მთელი ეს არემარე ლენტეხის მხარეა. თუ უშგულამდე აღმართ-აღმართ მიიხეიოდა გზა, ახლა უმიტესად თავდაღმართია.

აქეთ უკვე ყველაფერი ხარობს. ლენტეხის ქვეშთ, ცაგერისაკენ, სოფელ რცმელიურში მშვენიერი ბაღ-ვენახები აქვთ. ხაჩეში მაღალმთიან სოფლად ითვლება, მაგრამ აქ მსხალსაც მოგართმევენ, ვაშლსაცა და ატამსაც.

თუმცა ლენტეხამდე ჯერ კარგა შორი გზაა...

აი სოფელი ჟახუნდერიც. ჩვენი მასპინძელია სტეფანე ონიანი, ამ სოფლითვი ღონიერი და გაძარჯე გლეხკაცი. კედლებზე უამრავი ნახატია, გრაფიკულიც და ფერწერულიც.

— ჩემი ვახტანგია, — ამბობს სტეფანე.

ვახტანგმა თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა და კარგ მხატვრად ითვლება. ახლა რამდენიმე საბჭოთა ახალგაზრდასთან ერთად საფრანგეთში მოგზაურობს.

სტეფანეს უფროსი ვაჟი, ერმალოზი, უკვე ოჯახს მოჰკიდებია, ჟახუნდერში ცხოვრობს, ოთხ შვილზე ზრუნავს. ერმალოზ ონიანი ბოლო ოცი წელია ჟახუნდერის სოფლის საბჭოს თავმჯდომარეა.

სოფელ მელეშიც ღონიერი ხალხი ყოფილა. ამბობენ, ბევრ ადგილზე, მელეურაში და ლექსურაში რა ნაკლები ხალხია? შეიძლება არა, მაგრამ ხელედლეს სასოფლო მაღაზია ლამის თავზე დაეკვეთა, ხოლო მელეურელები და ლექსურელები ნაგზაურზე დადიან. რა არის ერთი გზა ოთხი სოფლისათვის? ამ გზით ხომ კახურელებმა და გულიდელებმაც უნდა იარონ!

ჟახუნდრიდან, როგორც იტყვიან, ერთი გუთნის გაშლაზეა მუშაში, სვანთა განთქმული ალაბაკი და სავანე. მაგრამ აქ მარტო აქაურები როდი ისვენებენ. წელს თბილისიდან, ქუთაისიდან, გორიდან და თელავიდანაც მოო�itოთხავთ მუშაშათვის, არ ვიცი, აქაური წყალი და ჰაერი რას უფრო უხდება, მაგრამ თვალსა და გულს კი დიდად სიამოვნებს. ამ არემარეში ყველაზე უებარი მკურნალი თვით ბუნების მშვენიერებაა, რომლის უნახავიც არ შეიძლება დარჩეს ადამიანი. აქ წამოსასვლელად საკვლდებულო არ არის ნივთიერების ცვლის მოშლა ან კუჭ-ნაწლავის ტკივილი. თუკი კაცს თავისუფალი დრო აქვს, მუაში უეჭველად უნდა ნახოს. არ დაუჯეროთ ამ ოციოდე წლის წინათ თვით მოსკოვ-ლენინგრადში გამოცემულ ერთ-ერთ ცნობარს, თითქოს ქუთაისიდან მხოლოდ ალპინამდე დადიან ეტლები და მანქანები, მერე კი მუაშამდე ცხენით ან ფეხით სასიარულოა.

რა ვუყოთ, დრო და ცხოვრება ერთნაირად აძველებს ცნობარებსა და გზამკვლევებს, მოსკოვში გამოცემულსაც და თბილისში დასტამბულსაც.

დღეს ძველი ცნობარებით ვეღარც ზემო სვანეთში ივლი და, მით უმეტეს, ვეღარც ქვემოში.

თემშარა ჩიხარეშსა და სასაშზე გადის. ორივე სოფელი კარგა მოზრდილია, ირგვლივ მეტწილად ახალი სახლებია. წინ ყველას თავისი ბაღი აქვს. პირველად ჩასულ კაცს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მთელი ეს არემარე საგანგებოდ დაუგეგიათ და დაუსუფთავებიათო. აქეთ ალბათ არც იციან რა არის მტვერი.

გზისპირას ყინულივით წყალია. რკინის მილიდან მაჯის სიმსხოდ გადმოდის. წყაროსთან მინდერად მომავალი სასაშელები დგანან. ცელები გვერდზე დაეწყვიათ და მთათა ცივ ნაკურს დასწაფებიან. ამ წყლის დაულეველობა არ იქნება, გააჩერეთ მანქანა და ჩავიდეთ.

— ხოჩა ლადეე — შუადღე მშვიდობისა, — კელავ მოვიმარჯვე გზადაგზა ნასწავლი თითო-ოროლა სვანური.

ყველაზე უფროსი სასაშელი მოსე ონიანია, ოთხმოცდაათი წლისა, მოხუცი საოცრად ჰგავს ბოლოდროინდელ სურათებზე აღბეჭდილ ლევ ტოლსტოის. განა მარტო წვერით ან მუხლამდე შემომდგარი ჩექმებით, არა, თვალებითა და გამომეტყველებით.

„ასკი-მურატე“ უპირველესი წიგნიაო, ამბობს მოსე ონიანი, შიგ ჩვენი ყველანაირი ბისა და მიწის სუნი ტრიალებსო...

ოთხმოცდაათი წელიწადი, შვიდი შვილი, მრავალი შვილიშვილი და ბადიში. არა, შინ როგორ არ დაჯდება. აკი ეჩხუბებიან კიდეც, მაგრამ გახურებული თიბვაა და რა ქნას. დაუჩაგველს ნუ დაანჩვე და დაჩვეულს ნუ გადაანჩვეო, ხითხითებს აილმასავით თეთრი ბერიკაცი.

თითქმის ყველა იცნობს ამ მხარეში ოსსებს მუკანბანაზს, კარგ მოლექსესა და ტკბილმოუბარ კაცს. იგი ჩოლურში, სოფელ ჭველიერში ცხოვრობს.

ჭველიერში სალამიანს მივედით. გოგო-ბიჭებს სკოლის წინ ლხინი ჰქონდათ. განა, განიო, იძახდა ყველაზე მაღალი.

ვოისა რერა რამაშა, ვოისა რერა.
ჰორი რირა რამაშა, ვოირა...

„ვოისა რერა“ სვანეთის მთებივით ძველთაძველი სიმღერაა, თქვა ოსებმა მუკანბანამ, გაიოზ მასწავლებლის მამამ, როგორც ბავშვები ეძახიან.

ოსებთან ერთი საუბარი ზღვაში წვეთია. აქ სულ ცოტა ერთი თვით მაინც უნდა წამოხვიდე. თანაც ბევრი ქაღალდი და მელანი უნდა ივარაუდო. დაჯდე და იწერო მართლაც ამ მთებივითა და მდინარეებივით უძველესი ტქმულებები თუ ზღაპრები.

ოსები დარწმუნებულია, რომ თვით სულმნათი თამარიც აქ, სვანეთშია დამარხული, უშგულის ახლომახლო. მტერმოძალებული ყოფილა იმხანად ქვეყანა, ხოლო თამარი სიკვდილითაც ხელშეუხებელი უნდა დარჩენილიყო, მერე თავდახსნილ ხალხს ახალი სიმღერა შეუთხზავს. იმ სიმღერაში ხალხი ამბობს: „ადექ, თამარ დედოფალო, ჩვენთვის დარჩა საქართველო“!

— აგერ, იმ დაფრდებულ მთას ხომ ხედავთ? — თქვა ბუბა ოსსებმა, — აქ ერთ ჯამ ბატონს თუმრე კარტოფილი ეთესა. აუყვანია ჩოლურელი გლეხები და თავდაღმა დაუწყებინებია თოხნა. სად გაგონილა, დაგიხოცებთო, სასლი სახეში გვაწვებაო. მეუჩიგლიათ გლეხებს, მაგრამ გინდა ქვასთვის გითხოვნია

და გინდა ჯამი კაცისთვის! მაშინ გლეხებს ხერხი უხმარიათ. ბატონის გასაგონად ეშმაკურად უთქვამთ, რა ღვთისნერი კაცია ჩვენი ბატონი. თავდაღმა იმიტომ გვათოხნინებს, რომ თოხს წამოდებულმა ქვამ და ლოდმა ფეხები არ დაგვამტვრიოსო.

ამის თქმა იყო და ჯამ ბატონს ახლა ქვევიდან დაუწყებინებია თოხნა...

ჭველიერიდან ლენტეხამდე ადილარ ჩართოლანთან ერთად ვიმგზავრეთ. ადილარი ლენტეხის საავადმყოფოს მთავარი ექიმია. ახალგაზრდაა, მაგრამ კარგი ხელის ქირურგიაო, ჯერ კიდევ სოფლებში გვითხრეს, ხალხს რას გამოაპარებ, კარგსაც ხელად აუღებენ ალღოს და ცუდსაც! ჩოლურელები დიდად ემადლიერებიან ექიმ რევაზ გოქაძესაც, სულ იცის, გული ვის როგორ გვიცემსო. ახლა ის სოფელ თეკალში წასულიყო და ვერ ვნახეთ.

ლენტეხში ამის მეტად არ ვყოფილვარ. უკვე კარგა გვიანი იყო და პირდაპირ სასტუმროში მივედით. სულ ახალთ ახალი სასტუმროა. გუშინ თუ გუშინწინ შესულან პირველი სტუმრები.

ახლა ერთი ცხელ-ცხელი აბაზანა, მერე ფუმფფული ლოგინი და ტკბილსიზმრიანი ძილი...

ადილარ ლენტეხელ ექიმებზე ამბობენ, ეს ადგილი ბოლოა, ამ ადგილებიდან ოსეთია, ოსეთიდან

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

გენერალური ასამბლეის XV სესია

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საკდესი). დღეს 10 საათსა და 54 წუთზე ადგილობრივი დროით გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია. გრძელდება საერთო პოლიტიკური დისკუსია.

სხდომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში მიეიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვა სოციალისტური ქვეყნების დელეგაციათა მეთაურები. ისინი 15 წუთის განმავლობაში საუბრობდნენ გენერალური ასამბლეის კულუარებში.

სხდომაზე პირველი გამოვიდა კამბოჯის სამეფოს სახელმწიფოს მეთაური პრინცი ნოროდომ სიანუკი.

კამბოჯა, განაცხადა მან, უდიდეს მნიშვნელობას აბიჯებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიას. ამ სესიის მნიშვნელობა უკვე დაგვანახვეს წინა ოპერაციების გამოსვლებმა და იმ ფაქტმა, რომ სესია ესოდენ მაღალ დონეზე მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პერიოდის შემდეგ განახლდა „ცივი ომი“, ხაზი გაუსვა კამბოჯის დელეგაციის მეთაურმა, ის გარემოება, რომ სესია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიაში პირველად ესწრება ესოდენ ბევრი სახელმწიფოთა ხელმძღვანელი, ჩვენი აზრით, ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს.

პრინცმა ნოროდომ სიანუკმა ხაზი გაუსვა შემდეგ, რომ კამბოჯა სავსებით დამოუკიდებელ პოლიტიკას ახორციელებს და გადაჭრით ამბობს უარს შეერთდეს რომელიმე ბლოკს. კამბოჯის მშვიდობისმოყვარე ხალხს, განაცხადა მან, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს ხალხებს, ყველაზე მეტად აწუხებს გაიარაღების პრობლემა. დიდმა ლიდერებმა, თქვა მან, გაამართლეს თავიანთი ყოფნა ამ სესიაზე, ხაზი გაუსვეს რა ამ პრობლემის საარსებო მნიშვნელობას და იმას, რომ საჭიროა გამოინახოს მისი დამაკმაყოფილებელი და საბოლოო გადაჭრა.

კამბოჯის დელეგაციის აზრით, შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა გამოთქვეს „ერთი და იგივე რწმენა, რომ განიარაღება აუცილებელია საჭიროა“, თუმცა მათ შორის „უთანხმოებაა დეტალების შესახებ“.

ამიტომ, განაცხადა შემდეგ ნოროდომ სიანუკმა, საჭიროა, როგორც სავსებით სწორად აღნიშნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, რომ ეს საერთო საფრთხე რომელიმე ბლოკს. კამბოჯის მშვიდობისმოყვარე ხალხს, განაცხადა მან, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს ხალხებს, ყველაზე მეტად აწუხებს გაიარაღების პრობლემა. დიდმა ლიდერებმა, თქვა მან, გაამართლეს თავიანთი ყოფნა ამ სესიაზე, ხაზი გაუსვეს რა ამ პრობლემის საარსებო მნიშვნელობას და იმას, რომ საჭიროა გამოინახოს მისი დამაკმაყოფილებელი და საბოლოო გადაჭრა.

კამბოჯის დელეგაციის აზრით, შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა გამოთქვეს „ერთი და იგივე რწმენა, რომ განიარაღება აუცილებელია საჭიროა“, თუმცა მათ შორის „უთანხმოებაა დეტალების შესახებ“.

ამიტომ, განაცხადა შემდეგ ნოროდომ სიანუკმა, საჭიროა, როგორც სავსებით სწორად აღნიშნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, რომ ეს საერთო საფრთხე რომელიმე ბლოკს. კამბოჯის მშვიდობისმოყვარე ხალხს, განაცხადა მან, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს ხალხებს, ყველაზე მეტად აწუხებს გაიარაღების პრობლემა. დიდმა ლიდერებმა, თქვა მან, გაამართლეს თავიანთი ყოფნა ამ სესიაზე, ხაზი გაუსვეს რა ამ პრობლემის საარსებო მნიშვნელობას და იმას, რომ საჭიროა გამოინახოს მისი დამაკმაყოფილებელი და საბოლოო გადაჭრა.

კამბოჯის დელეგაციის აზრით, „ერთ-ერთ ფაქტორად, ხელს უშლის ამ საკითხის გადაჭრას ის, რომ ჩინეთი მიიღონ გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში, ამასთან თავიანთ ობსტრუქციონისტულ პოზიციას ამარტოებენ ტაბეტის „საკითხით“ და ჩინეთ-ინდოეთის დავით საზღვრის შესახებ. მაგრამ ინდოეთი, ამბობს ნოროდომ სიანუკი, ყველაზე დაინტერესებული მხარე საზღვრის საკითხთან, და ყველაზე კვალიფიციური მეთვალყურე ტაბეტის ამბებისა, დარწმენებულია იმაში, რომ საჭიროა ჩინეთი მიიღონ ამ მაღალ ორგანიზაციაში.

კამბოჯის წარმომადგენელმა გამოთქვა რწმენა, რომ აღრე თუ გვიან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იძულებული იქნება არა მარტო ცნოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავის წევრად, არამედ კიდევაც სთხოვოს მას მიეიდეს და თავისი ადგილი დიკავოს ერებს შორის.

ნოროდომ სიანუკმა თქვა, არ მინდოდა კომენტარი გამეკეთებინა კონგოს სამწუხარო ამბებისთვისო. კამბოჯის მთავრობა, განაცხადა მან, ცნობს ერთიან კონგოს დედაქალაქ ლეოპოლდვილით. შინაგანი სეპარატიზმი არავითარ შემთხვევაში არ ამართლებს გარედან განხორციელებულ ცდებს, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყნის გათიშვას.

კამბოჯის დელეგაციის მეთაურმა მოუწოდა საფრანგეთის მთავრობას მალე შეუთანხმდეს ალჟირის რესპუბლიკის მთავრობას ომის შეწყვეტის შესახებ ალჟირში. ჩვენ, კამბოჯელებს, თქვა მან, რომლებმაც ვიცით, რა ომი იყო ინდოჩინეთში და ვიცხობთ ალჟირელ მებრძოლთა მამაცობასა და სიმტკიცეს, ილუზიად მიგვაჩნია ის აზრი, რომ შეძლებენ ძალით დააყრეკინონ ალჟირელებს იარაღი.

კამბოჯის დელეგაციის მეთაურმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ლაოსში სულ უფრო აშკარავდება ის გეგმები, რომ უცხოელები აქეზებენ, კიდევაც მხარს უჭერენ აჯანყებას ვიენტიანის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ. მან მხარი დაუჭირა ლაოსის ნეიტრალიზაციას, რომელიც უნდა განმტკიცდეს მისი ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის საერთაშორისო გარანტიებით.

სიანუკმა თქვა, რომ კამბოჯა არ მონაწილეობს ბლოკებსა და სამხედრო თავდაცვითს ორგანიზაციებში. მთელი ჩვენი ხალხის სურვილია, რომ დიდმა სახელმწიფოებმა ერთხელ და სამუდამოდ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც ცნონ კამბოჯის ნეიტრალიტეტი, რომელიც მისი, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოს, არსებობის ერთადერთი გარანტიაა.

ნ. სიანუკმა მოითხოვა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის შეიქმნას ნეიტრალური ზონა, რომელშიც შევლენ ლაოსი და კამბოჯა.

სიანუკმა სასაცილოდ აღიო ეგრეთწოდებული „თავისუფალი სამყაროს“ პრესის მტკიცება, თითქოს ნეიტრალურ ქვეყნებს სარგებლობა ჰქონდეთ ორ ბანაკს შორის „ბეტონელებისგან“. მან მოიყვანა სიტყვები ამერიკელ ჟურნალ „ტაიმიდან“: „სიანუკმა აღმოაჩინა მეორე წესი დახმარების შესახებ: ყოველთვის კბენს ხელს, რომელიც მას კვებავს“.

კამბოჯის დელეგაციის მეთაურმა გულისწყრომით განაცხადა: „ყველამ უნდა იცოდეს, რომ მე ხელზე აო კბენ მათ, ვინც დახმარებას უწევს ჩვენს ხალხს, არამედ კბენ სხვის ხელს — იმას, რომელიც ცდილობს მოგვსპოს. მიუხედავად ძალელი ჩემი კეთილი ნებისა, მეგობრობის გამოვლენებისა იმ ქვეყნების მიმართ, რომელნიც ოფიციალურ დახმარებას გვიწევენ, არ შეიძლება არ დავინახოთ სხვა „დახმარება“, რომელსაც ჩვენ არ ვითხოვთ და რომელიც უმეტესო საფრთხეს უქმნის ჩვენს დამოუკიდებლობას, ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობასა და ამ სტუდენტებ ბევრი დელეგატი ტამით შეხვდა.

მშვიდობიანი თანაარსებობა, თქვა კამბოჯის დელეგაციის მეთაურმა, დღეა წესიერება დგას. მშვიდობიანი თანაარსებობა უნდა ეფუძნებოდეს ოფიციალურ უარისთქმას იმ ცდებზე, რომ თავს მოახვევ თავიანთი პოლიტიკა სხვა ხალხებს. პრინცმა სიანუკმა საბჭოთა ადამიანებს, რომელებსაც მან კამბოჯის დიდი მეგობრებად უწოდა, მიულოცა შესანიშნავი მეცნიერული პროგრესი და იმედი გამოთქვა, რომ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მონაწილეობა ახლანდელ სესიაში ხელს შეუწყობს საღავო საერთაშორისო საკითხების გადაჭრას.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა, რომელიც შემდეგი გამოვიდა, განაცხადა, რომ გენერალური ასამბლეის XV სესიას არ შეიძლება უდიდესი მნიშვნელობა არ ექნეს საერთაშორისო საქმეებისათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსებიდან არასოდეს არც ერთ ჩვენს სესიას არ დასწრებია ასე ბევრი საერთაშორისო მოღვაწე და არც ერთ სესიას არ გამოუწვევია საზოგადოებრივი აზრის ასეთი ფართო ყურადღება, ამბობს იგი.

გენერალური ასამბლეის დელეგატების წინაშე დგას არჩევანი: ან უნაყოფო ბრალდებანი და კონტრბრალდებანი ერთმეორის წინააღმდეგ ან ცდა, რომ გონივრული არგუმენტების გზით გამოხახონ ჩვენს წინამე მდგომი ბევრი პრობლემის პრაქტიკული გადაჭრა.

მაგრამ, ილაპარაკა რა კონკრეტულ პრობლემებზე, რომლებსაც ასამბლეა შეეხო, ინგლისის პრემიერ-მინისტრი აშკარად დაადგა შეერთებული შტატების თვალსაზრისს. მან, კერძოდ, განაცხადა, რომ მიესალმება პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინადადებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესახებ, რომელთა მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რწმენებანი გადიდდეს და არა შემცირდეს კრიზისების ლიკვიდაციის საქმეში. მაკმილანი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირის კონსტრუქციული წინადადება იმის შესახებ, რომ გენერალური მდივნის პოსტი შეიცვალოს სამი კაცისაგან შემდგარი სამდივნოთი, თითქოს ნავარაუდევია საწინააღმდეგო მიზნების მისაღწევად და ამიტომ ვითომ მიუღებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეტი წილი წევრებისათვის.

მაკმილანმა მხარი დაუჭირა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების გამოყენებას კონგოში, იმ სახელმწიფოთა აკენტებისათვის დახმარების გასაწევად, რომლებიც ისწრაფვიან შეიარაღებული ბატონობა აფრიკის ამ ახალგაზრდა ქვეყანაზე. შეერთებული შტატების მთავრობას, თქვა მან, მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების მოქმედება კონგოში დროული იყო და უნდა გაგრძელდეს. ამასთან დაკავშირებით მაკმილანმა ქება შეასხა გენერალური მდივნის სქემაინმბას, გამოთქვა „ნდობა მისი ენერგიისა და მოსაზრებულობისადმი“. შემდეგ მაკმილანი შეეხო დიდი სახელმწიფოების ხელმძღვანელთა მოლაპარაკების შესაძლებლობის საკითხს. მან თქვა, ეს სესია შეიძლება გაუმჯობესებისაკენ შიმობრუნებას პუნქტი იყოსო. მაკმილანმა განაცხადა, ოპტიმისტი ვარო და გაიხსენა თავისი მოგზაურობა მოსკოვში საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურთან მოლაპარაკებლად. ამ დიდმნიშვნელოვანმა მოლაპარაკებამ ხრუშჩოვთან, განაცხადა მან, გამოიწვია ერთიმეორისადმი დაპირისპირებული ქვეყნების ლიდერთა მთელი რიგი ურთიერთ გიზიტები. მოსალოდნელი იყო, რომ ეს ღონისძიებები დაგვირგვინდებოდა უმაღლესი დონის თათბირით პარიზში. „ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რა მოხდა პარიზში, — განაგრძო მაკმილანმა. — ახლა უფროა ერთმანეთისათვის ბრალდების წაყენება. მაგრამ მსოფლიოს ხალხები, რომელებსაც იმედი გაუცრუა მარცხმა, მოელიან, რომ ჩვენ დავამლეთ ამ წარუმატებლობას და ძველ ყველაფერს თავიდან დავიწყებთ“. მაკმილანმა იმედი გამოთქვა, რომ განხორციელდება უმაღლესი დონის თათბირის მოწვევის ახალი ცდა, და დაიწყო კითხვა იმ განცხადების ნაწყვეტისა, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა გამოაქვეყნეს პარიზში იმის შესახებ, რომ მზად არიან განაახლონ მოლაპარაკება.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ამ მომენტში რეპლიკა მისცა აგილიდან:

— ნუ გზავნით „უ-2“ თვითმფრინავებს, აღაკვეთეთ ავტრსია.

ინგლისის პრემიერ-მინისტრმა შემდეგ საკმაოდ ბუნდოვანად ილაპარაკა, რომ უეზრობაა, რომ ადამიანები ეომებიან, ეჩხუბებიან ერთიმეორეს, ნაცვლად იმისა, რომ გადაწყვიტონ ჩვენს წინაშე მდგომი კონკრეტული ეკონომიური, სოციალური, სამედიცინო და სასოფლო სამეურნეო პრობლემები. იგი ამტკიცებდა, რომ თითქოს ყველა უბრალო ადამიანი ბედნიერი იქნება და ყველა მსოფლიო პრობლემა გადაიჭრება, თუ „ჩვენ ძველი და დრომოქმული ლოზუნგებისაგან მაინც გავთავისუფლდებით“. ასეთ ლოზუნგებს მან მიაკუთვნა იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის ბრალდება.

მაკმილანი ამტკიცებდა, რომ „უკვე 100 წელზე მეტია ჩვენი მიზანი ის იყო, რომ დამოუკიდებლობისათვის მოგვემზადებინა დამოკიდებული ტერიტორიები“. მაგრამ მაკმილანი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ დამოუკიდებლობის მიღწევაში მთავარი დამსახურება თვით აფრიკის ხალხებს ეკუთვნით. მაკმილანი ცდილობდა დაეხატა ვარდისფერი სურათი კოლონიზატორებისა და მათი მსხვერპლის ურთიერთობისა ინგლისის ტერიტორიებზე აფრიკაში. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ფაქტიურად თავი აარიდა იმ წინადადებათა ანალიზს, რომლებსაც შეიცავს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა კოლონიურ საკითხზე, და „მოძველებული“ უწოდა მის შეხედულებებს.

მაკმილანმა იკისრა დასავლეთ გერმანელი რევანშისტების პოზიციების დაცვის საძრახისი როლი. მან ბრალად დაედო პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციათა მეთაურებს, რომ აკლიათ „შერიგების სულისკვეთება“ იმ საკითხში. სიერთოდ ცნობილი ფაქტების მიუხედავად, იგი ამტკიცებდა, რომ დასავლეთი გერმანია მზად არის „დათანხმდეს მკაცრ შეზღუდვებზე თავისი შეიარაღებისა და თავისი ძალების გაშლის ხასიათის მხრივ“.

ამავე დროს, მან მოუწოდა ასამბლეას გადაჭრას გერმანიის პრობლემა „მოთმინებითა და პატიოსანი ღონისძიებებით მიაღწიონ შეთანხმებას მოლაპარაკების გზით“. ჩვენ, რომ შეგვეძლოს, განაგრძო მაკმილანმა, ავაღორძინოთ ის სულისკვეთება, რომელიც სულ ამ ახლანდელ თვის წინათ იყო, შეგვძლებდით ახალი ცდა მოგვეხდინა.

მაკმილანმა ხელაღებით შეასხა ქება ამერიკის დახმარებას სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი და ყოველნაირად ცდილობდა შეემცირებინა სოციალისტური ქვეყნების წვლილი აზიისა და აფრიკის ქვეყნების განვითარებაში.

მაკმილანმა დაიცვა ნატოს, სეტოს, სეატოს აგრესიული სამხედრო კავშირები და ამტკიცებდა თითქოს ისინი არ ისახავდნენ სხვა რაიმე მიზანს, ჩარდა თავდაცვითი მიზნებისა. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა პესიმისტურად გაუშუქა განიარაღების შესახებ მოლაპარაკების ისტორია და ამტკიცებდა, რომ შიში და ეჭვები ამ ღონისძიებათა წარუმატებლობის შედეგი კი არ არის, არამედ მისი მიზეზი.

ისევე, როგორც დასავლეთის სახელმწიფოთა სხვა წარმომადგენლები, მაკმილანი ცდილობდა განიარაღების საკითხი შეეცვალა განიარაღებისადმი კონტროლის საკითხით. „ჩვენ უნდა ვაღიაროთ, — თქვა მან, — რომ ზოგიერთ მთავრობას მიაჩნია, — და სწორედ ეს მოსაზრება წამოაყენეს წარსულში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა, — რომ ინსპექცია და კონტროლი მარტოოდენ საფარი იქნება ჯაშუშობისა“. ამ ადგილას საბჭოთა დელეგაციის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი წამოდგა თავის ადგილზე და მიაცა რეპლიკა:

— დათანხმდით განიარაღებაზე, და ჩვენ დათანხმდებით ყველა კონტროლზე.

მაკმილანმა სცადა უარეყო ის ფაქტი, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები კონტროლზე ლაპარაკს იყენებენ იმის საფარად, რომ მათ არა სურთ რეალური ნაბიჯები გადადგან განიარაღების დარგში.

მაკმილანს არ შეუტანია რაიმე კონკრეტული წინადადებანი განიარაღების შესახებ. მაგრამ იმ შთაბეჭდილების შესაქმნელად, რომ ინგლისის მთავრობა ესწრაფვის თანამედროვეობის ამ უმწვავესი პრობლემის გადაჭრას, მან განაცხადა, რომ საჭიროა „თანდათანობით შეამცირონ მინიმუმამდე ყველა სახეობის შეიარაღება“ და შექმნან ექსპერტთა საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც გადაწყვეტს, თუ განიარაღებისადმი საერთაშორისო ინსპექციის და კონტროლის რა ღონისძიებებია მისაღები.

გაერთიანებული ერების ისტორიაში, თქვა შემდეგ გამოსულმა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. კროისკიმ, წინათ არასოდეს გენერალურ ასამბლეაში არ გამოსულა სახელმწიფოთა და მთავრობათა ასე ბევრი მეთაური, და ეს ფაქტი, უეჭველია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ წლის ასამბლეას, კროისკიმ აღნიშნა, რომ საჭიროა ნდობა დამყარდეს დიდ სახელმწიფოთა შორის, ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოითხოვა, რომ გაგაჭრან ატომური იარაღის გამოცდისადმი კონტროლის საკითხი, რაც პირველი ნაბიჯი იქნება ამ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

კროისკიმ მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დღემდე არ არის გერმანია და რომ „ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი დღემდე არ არის გადაწყვეტილი, რომ გაერთიანებული ერების ყველა წევრს აკმაყოფილებდეს“. თავისი სიტყვის დასკვნითი ნაწილი კროისკიმ მიუძღვნა იტალიის ტიროლელთა უმცირესობის მდგომარეობას.

ამით დამთავრდა გენერალური ასამბლეის ღია დისკუსია.

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის ბალანსიერ სხდომაზე პირველი გამოვიდა პაკისტანის დელეგაციის მეთაური, სათბობის, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ზულფიგარ ალი-ხან ბჰატო.

ბჰატომ აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეის ამ სესიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მის მუშაობაში მონაწილეობენ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მთავრობათა და სახელმწიფოთა მეთაურები, აგრეთვე იმიტომ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღებულ იქნა აფრიკის ქვეყნების დიდი ჯგუფი.

ილაპარაკა რა ატომური გამანადგურებელი ომის საფრთხეზე, ალი ბჰატომ ხაზგასმით აღნიშნა განიარაღების პრობლემის უდიდესი მნიშვნელობა. პაკისტანის წარმომადგენელმა დადებითი სულისკვეთებით კომენტარი გაუკეთა საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ძირითად დებულებებს, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვმა შეიტანა. მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირმა ნადადგა წამოაყენა, რომ პირველ ეტაპზე ატომური იარაღის მიზანთან მიტანის საშუალებათა მოსპობასთან ერთად შემცირდეს შეიარაღებული ძალები ერთ-ერთ სპეციფიკურ ტიპის შეიარაღება. ამ სესიის ბუნებაზე, თქვა ა. ბჰატომ, უნდა იყოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის პრინციპული შეთანხმების მიღწევა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების დონის შემცირების შესახებ. ამას უნდა მოჰყვეს მოლაპარაკება სხვა დიდ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ.

ბჰატო დაეთანხმა საბჭოთა კავშირის წინადადებებს ომის შესახებ, რომ გაფართოვდეს განიარაღების კომიტეტი მის შემადგენლობაში ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენლთა მეცვალნის გზით.

პაკისტანი, ისევე, როგორც სხვა სუსტად განვითარებული ქვეყნები, თქვა ბჰატომ, უდიდეს სიძნელეებს განიცდიან ეკონომიური განვითარების მხრივ. ამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის მიერ სხვა ქვეყნებისათვის ეკონომიური დახმარების გაწევის პირობები, რომელთა შესახებ ილაპარაკა თავის გამოსვლაში ხრუშჩოვმა, „ფრიად მიმზიდველია“. პაკისტანის წარმომადგენელმა თქვა, რომ ქვეყნები, რომლებიც ნედლეულს აწარმოებენ, სულ უფრო მზარდ სიძნელეებს აწყდებიან მსოფლიო ბაზრებზე.

ბჰატომ განაცხადა, რომ მცირდება საგარეო ვაჭრობა სუსტად განვითარებულ ქვეყნებსა და სამრეწველო ქვეყნებს შორის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სანამ ეს ტენდენცია არ შეჩერდება, მნიშვნელოვანი პროგრესი შეუძლებელია, და ქვეყნები, რომლებიც ნედლეულს აწარმოებენ, ყოველთვის დამოკიდებული იქნებიან. უცხოეთის დახმარებაზე, რათა შეინარჩუნონ ცხოვრების ახლანდელი დონე. სიღატაკის პრობლემა კვლავ გადაუჭრელია.

შეეხო რა კონგოს მდგომარეობას, ბჰატომ მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პოზიციას. თუმცა მან განაცხადა, რომ კონგოში წესრიგის აღდგენის საკითხში წამყვანი როლი უნდა ეკუთვნოდეთ აფრიკის სახელმწიფოებს. მან ბრალმდებელი დისკრიმინაციის პოლიტიკა, რომელსაც საბრძენი აფრიკის კავშირის მთავრობა ახორციელებს ამ წუხარების გამოთქვა, რომ საფრანგეთის დეკლარაცია ალჟირელ ხალხისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭების შესახებ ცარიელი სიტყვა აღმოჩნდა.

ეკვადორის წარმომადგენელმა ხოსე ჩირიბოგამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ სესიის მუშაობაში მთელი რიგი სახელმწიფოებისა და მთავრობის მეთაურთა მონაწილეობა განამტკიცებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს, განამტკიცებს ხალხთა ამბიციებს მშვიდობის მიღწევისადმი. მან დასძინა, რომ არასწორი იქნება, თუ მათ მონაწილეობას სესიის მუშაობაში პროპაგანდის მოსაზრებით აეხსნით.

ჩირიბოგამ თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი დუუთმო ეკვადორისა და პერუს კონფლიქტის ისტორიას იმ ტერიტორიის საკითხში, რომელიც მდინარე ამაზონის ხეობაში მდებარეობს.

ლიბიის დელეგატმა მეპიდინ ფიკინიმ ლიბიის ხალხის სოლიდარობა გამოთქვა აფრიკისა და აზიის ქვეყნების ხალხთა მიმართ და განაცხადა, რომ მის მთავრობას სურს იაროს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთპატივისცემისა და თანხმობის გზით.

ფიკინი შეეხო ამ პრობლემებს, რომლებიც აფრიკის ხალხთა უაღრესად დიდ შეშფოთებას იწვევენ, მან დაგმო საფრანგეთის მთავრობა, რომელიც კოლონიურ ომს აწარმოებს ალჟირში. დაგმა ფრო, თქვა მან, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს თავისი ვალი და უზრუნველყოს ალჟირის საკითხის გადაჭრა ალჟირელი ხალხის დამოკიდებლობისა და თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე რეფერენდუმის გზით.

ფიკინმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა შენარჩუნებულ იქნას კონგოს რესპუბლიკის ერთიანობა და ტერიტორიული მთლიანობა.

ლიბიის დელეგატმა თავისი ხალხის დიდი შეშფოთება გამოხატა რასობრივი დისკრიმინაციის გამო, რაც სამხრეთ აფრიკის კავშირში ხორციელდება. დასასრულს ფიკინმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ [illegible] ასამბლეის — [illegible] — ალჟირელების პრობლემის გადაჭრაში.

შემდეგ გამოვიდა ნეპალის პრემიერ-მინისტრი [illegible] — [illegible] ორგანიზაციის ახალ წევრებს, [illegible] ეიერ, ბალე მოიპოვებენ დამოუკიდებლობას და თავიანთ ადგილს დაიკავებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ნეპალის პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეეძლებულია იყოს ქმედარტად უნივერსალური ორგანიზაცია, სანამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არ დაიკავებს თავის კანონიერ ადგილს ამ ორგანიზაციაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, თქვა მან, ლაპარაკია გაერთიანებულ ერებზე, მაგრამ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიოს ხალხთა წარმომადგენლად, მაშინ, როცა 630 მილიონი კაცი არ არის წარმოდგენილი ამ ორგანიზაციაში. ზუსტად ასევე, აღნიშნა კოირალამ, საეჭვებით კანონიერი უფლება, რომ ჰქონდეს თავისი ადგილი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, აქვს მონოლოლეთის სახალხო რესპუბლიკასაც.

კოირალამ გადაჭრით მხარი დაუჭირა ალჟირის დამოუკიდებლობას. მან აღნიშნა, რომ საფრანგეთმა არ შეასრულა ის საქვეყნო დაპირებანი, რაც ალჟირს ალეთქვა პრეზიდენტმა დე გოლმა მარშაზე.

შეეხო რა კონგოს მდგომარეობას, კოირალამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას აფრიკის ამ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

ნეპალის პრემიერ-მინისტრი არ დაეთანხმა საბჭოთა კავშირის იმ წინადადებებს, რომ გენერალური მდივანი შეიცვალოს სამი კაცისაგან შემდგარი სამდივნოთი.

დასასრულ კოირალა შეეხო განიარაღების პრობლემას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ პრობლემის გადაჭრას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებ[illegible] ჩვენ მოგვაჩნია, განაცხადა მან, რომ საჭიროა [illegible] ეფექტიანი კონტროლი. გაიხსენა რა ნ. ს. ხრუშჩოვის ის წინადადება, რომ განიარაღების შეღიგად დაზოგილი სახსრები მოხმარდეს სუსტად განვითარებული ქვეყნების დახმარებას, კოირალამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს სერიოზული და კონსტრუქციული ნაბიჯია.

დღის პლენარულ სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა ლიბერიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფედერ ტეილორი. მან აღნიშნა, რომ საჭიროა მიღწეულ იქნას შეთანხმება განიარაღების შესახებ. მსოფლიოს, განაცხადა გრაიმსმა, მეტად არ შეუძლია განიხილოს ომი, როგორც პოლიტიკის განხორციელების საშუალება.

შეეხო რა ალჟირისა და კონგოს პრობლემებს, ლიბერიის დელეგაციის მეთაურმა თქვა, რომ ყოველი ფორმის კოლონიალიზმი ნელა და მტკივნეულად კვდება. იგი დაეხმარა ტოგოს დამოუკიდებელ და დამონებულ ხალხთა ცხოვრების ყველ დარგში. ლიბერიის დელეგატმა შეუხარეს გამოთქვა კონგოს მდგომარეობის გამო და ამავე დროს განაცხადა, რომ მის ქვეყანას არ შეუძლია მხარი დაუჭიროს წინადადებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ ჯარების სათავეში, რომლებიც კონგოში იმყოფებიან, იყოს აფრიკის სარდლობა.

ილაპარაკა რა სამხრეთ აფრიკის კავშირის მდგომარეობის შესახებ, გრაიმსმა აღნიშნა, რომ ეს მდგომარეობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

* * *

ასამბლეის შემდეგი პლენარული სხდომა გაიმართა 30 სექტემბერს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲛᲬᲧᲕᲔᲢᲐ

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ.

ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲣᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲣᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ

ᲤᲘᲓᲔᲚ ᲙᲐᲡᲢᲠᲝ: Ჩ

საერთაშორისო
დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა
ცხოვრება

რომ პლანეტას თბილი ქროღვა დაუბრუნდეს...

ტოკიო, 29 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი **ვ. ზაცეპინი** გადმოგვცემს: დღეს ტოკიოში პარლამენტის შენობაში გაიხსნა საპარლამენტთაშორისო კავშირის 49-ე კონფერენცია. კონფერენციაზე წარმოდგენილი არიან მსოფლიოს 49 ქვეყნის პარლამენტარები. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. პალეციკისი.

საპარლამენტთაშორისო კავშირის 49-ე კონფერენცია

კონფერენციის მუშაობას, რომელიც დაიწყო იმ მომენტში, როცა ნიუ-იორკში მიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია, დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტარების ურთიერთგაგების გაღრმავების საქმეში. ასახავენ რა დროის სულისკვეთებას, მისმა მონაწილეებმა დღის წესრიგის ერთერთ მთავარ პუნქტად დასვეს საკითხი განიარაღების შესახებ. კონფერენციაზე განიხილავენ აგრეთვე საკითხებს საპარლამენტთაშორისო კავშირში ახალი წევრების მიღების შესახებ, საერთაშორისო ეკონომიკის განვითარების შესახებ და მთელ რიგ სხვა პრობლემებს.

კონფერენციის დღევანდელ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა ი. პალეციკისმა. გადასცა რა კონფერენციის მონაწილეებს მხურვალე სალამი და წარმატებითი მუშაობის სურვილი საბჭოთა კავშირის ხალხებისა, და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსაგან, პალეციკისმა წაიკითხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მისასალმებელი წერილი. დელეგატებმა წერილი უდიდესი ყურადღებით მოისმინეს. კონფერენციის მონაწილეთა ტაშის გრიალში ი. პალეციკისმა განაცხადა, რომ ეს წერილი გამსჭვალულია ზრუნვით მშვიდობისათვის, საბჭოთა კავშირის მისწრაფებით გადაჭრას თანამედროვეობის არსებითი პრობლემები.

პლანეტაზე, თქვა ი. პალეციკისმა, კვლავ დაჭროლეს ცივმა ქარებმა. მეტად გულგრილი კაცი და ყოველგვარი ლოგიკისა და საღი აზრის შუბლმაგარი მტერი უნდა იყო, რომ ვერ გაერკვიო იმაში, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ამ აცივებისათვის. არა მსურს ვიხრიკო წარსული, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მეტად ბევრი ფაქტი მოწმობს პარიზის თათბირის ჩაშლისა და აცივების უცილობელ მიზეზს. ეს მიზეზი, ხატოვანად და თავაზიანად რომ ვთქვა, ის არის, რომ პენტაგონის სუსხიანმა ქარმა და მის უკან მდგომმა „სამხედრო ბიზნესმა“ გაყინა ის თბილი ქროღვა, რომელიც წარმოიშვა საბჭოთა კავშირისა და იმ ქვეყნების ხანგრძლივი და მედგარი ღონისძიებების შედეგ, რომლებიც დაინტერესებული არიან მშვიდობის განმტკიცებით.

აღნიშნა რა შემდეგ საბჭოთა მთავრობის ახალი სამშვიდობო ინიციატივის თვალსაჩინო მნიშვნელობა, აგრეთვე ნ. ს. ხრუშჩოვისა და ბევრი სხვ. სახელმწიფოს ხელმძღვანელის მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მუშაობაში, ი. პალეციკისმა თქვა, რომ ყოველივე ამან გაეთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიას მიანიჭა საგანგებო მნიშვნელობა, უმაგალითო ავტორიტეტი განიარაღების, ომის საფრთხის აღმოფხვრისა და კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის საკითხების გადაჭრილად, კოლონიური სისტემისა, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას.

კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ფინეთის დელეგატმა ლაინმ. ფინეთი, განაცხადა მან, ზუსტად ახორციელებს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს. იმ პოლიტიკის გამარჯვების მკაფიო მაგალითს, რომელიც ამ პრინციპებს ემყარება, წარმოადგენს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ურთიერთობა. დელეგატმა განაცხადა, რომ ფინეთში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის უკანასკნელი ვიზიტის შედეგად ორივე ქვეყნის ურთიერთობა უფრო გაუმჯობესდა.

რუმინეთის დელეგატმა ვასილიკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუმინელი ხალხი იბრძვის საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, ატომური იარაღის ლიკვიდაციისათვის, ყველა ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის, რომელიც დაფუძნებულია მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე, კოლონიური სისტემის სრული ლიკვიდაციისათვის.

კონფერენციის მუშაობა იაპონიის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია; იგი მოელის, რომ ტოკიოში შეკრებილი პარლამენტარები თავიანთ წვლილს შეიტანენ მშვიდობის განმტკიცების საქმეში, ეხება რა კონფერენციის მონაწილეთა მიერ განიარაღების საკითხის განხილვას, იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავჯდომარე, პარლამენტის დეპუტატი ნოსაკა დღეს გაზეთ „მაინიტი დეილი ნიუსში“ წერს: „ჩვენ სულითა და გულით ვუპჭერთ ძახს კონფერენციას ამ საკითხში და იმედი გვაქვს, რომ წინადადებანი, რომლებიც საბჭოთა პრემიერმა ხრუშჩოვმა შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, გახდილ იქნება, რათა კონფერენციის მუშაობა იქნას უფრო ნაყოფიერი და პრაქტიკული“.

მიესალმება რა ტოკიოში საპარლამენტთაშორისო კავშირის კონფერენციის გახსნას, იაპონიის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე, პარლამენტის დეპუტატი ასანუმა ამავე გაზეთში აღნიშნავს, რომ იაპონელი ხალხი მტკიცედ ილაშქრებს ამერიკას შეერთებულ შტატებთან სამხედრო კავშირის წინააღმდეგ. სოციალისტურ პარტიას, ხაზგასმით აღნიშნავს იგი, მტკიცედ მიაჩნია, რომ ისტორიული, გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიური პირობების გათვალისწინებით, მხოლოდ ნეიტრალიტეტი უზრუნველყოფს იაპონიის ნამდვილ დამოუკიდებლობას. ასანუმამ მოიწოდა კონფერენციის დელეგატებს გადაჭრან საკითხი საპარლამენტთაშორისო კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების შესახებ.

თავი აუფეთქებია ცხენის წყალს და მიგუბუნებს, იერთებს ათას პატარა ნაკადულსა და ღელეს, მიანგრევს კლდეებს და მიაბორგებს ვეებერთელა ლოდებს... მაგრამ ლენტეხთან უკვე ივაკიებს და თითქოს დაღლილი კაცი მუხლს ჭარს აღებინებსო, ისე მიედინება.

ცხენის წყალი მთამარი სიცოცხლის ძარღვია ქვეყნ სვანეთისა, საქართველოს ამ ერთ-ერთი ლონიერი და მშვენიერი კუთხისა. ადამიანს ლაგამი ამოუდვია ამ გიგოკარი მდინარისათვის, ხიდგითა და ჯებირით დაურახტავს იგი. ალაგ-ალაგ ელსადგურები აუგია ზედ და სინათლედ აუნთია ძალუმი მდინარება წყლისა. ამ სურათზე აღბეჭდილია ცხენის წყლის შენაკადი ხელედუარა, რომელიც აჭაურებს თაბიანთი ცხოვრების მადლიან წყაროდ უძველესიათ.

აპერ ერთ-ერთი ის ადამიანი... ლენტეხის მიწა-წყლის მკვიდრია გრიგოლ გულგანი. ირგვლივ რაც მთები და მწვერვალებია, ფეხით აქვს დალახული და შეჯეიტებული. ტყეშილად როდი უქებენ ამ ვაჟკაცს მთამსვლელს ოსტატობას. ახლა იგი თავის პატარა ვაჟსაც ასწავლის, როგორ უნდა კლდეთა დაპყრობა.

ფოტო ს. ონანოვისა.

ჩინეთისა და ბირმის მთავრობათა მეთაურების შეხვედრა

პეკინი, 29 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს პეკინში გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაისა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს შეხვედრა, რომელიც ჩინეთში ჩამოვიდა ჩინეთ-ბირმის საზღვრის შესახებ ხელშეკრულების ხელმოსაწერად.

დღევანდელ შეხვედრას დაესწრნენ აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მარშალი ჩენ ი და ბირმის კავშირის ეროვნული თავდაცვის არმიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ნე ვინი.

პეკინი, 30 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, გუშინ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავჯდომარემ მაო ძედუნმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ ლიუ შაო-ციმ მიიღეს ბირმის პრემიერ-მინისტრი უ ნუ და ბირმის არმიის გენერალური შტაბის უფროსი ნე ვინი.

პასუხი „ნიუ-იორკ ტაიმსს“

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აქვეყნებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განის მუდმივი წარმომადგენლის კვეთნოსნესკის წერილს, რომელიც არის პასუხი ამ გაზეთის სარედაქციო სტატიაზე, სადაც ამტკიცებდნენ, თითქოს „განა უხერ შეცდომას სჩადის პოლიტიკაში, რომელსაც იგი ახორციელებს“ კონგოს მიმართ.

„როგორც უშიშროების საბჭოს განცხადებაში აღვნიშნე 14 სექტემბერს, — ნათქვამია წერილში, — ჩემი მთავრობის თვალსაზრისი ის არის, რომ სანამ თვითონ კონგოელი ხალხი არ მიიღებს გადწყვეტილებას შეცვალოს თავისი კონსტიტუციური ბაზა, კანონიერება და წესრიგი, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ იკისრა დაიცვას კონგოში, ისინი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი, როგორც მათ ძირითადი კანონი განმტკიცებს.

შემდეგ, დავიმოწმე რა ცნობა ახალი მთავრობის შედგენის შესახებ ილეოს მეთაურობით, მე აღვნიშნე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის აბსოლუტურად შეუწყნარებელია ცნოს მთავრობა, რომელიც არა თუ კონგოს პარლამენტს არ მოუწონებია და აშკარად არ სარგებლობს ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერით, არამედ იურიდიული თვალსაზრისითაც საეჭვოა.

განმარტებაში განვაცხადე, რომ თუმცა პრეზიდენტ კასავუბუს ძირითადი კანონით მართლაც აქვს უფლება გააუქმოს პრემიერ ლუმუმბას მანდატი, კანონი აწესებს, რომ ამ უფლებას უნდა იყენებდნენ მხოლოდ კანონის შესაბამისად და შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღებულ იქნა უნდობლობის ვოტუმი.

როგორც იცით, ასეთი ვოტუმი არ ყოფილა. პირიქით, კონგოს პარლამენტმა პრეზიერ ლუმუმბას გამოუცხადა სრული ნდობა და ორჯერ აღმუურვა იგი სპეციალური რწმუნებებით.

ზემოთქმულის მიხედვით გასაოცარია, რომ სადავოდ ხდიან სწორედ განის მიუკერძოებლობას და არა რომელიმე სხვა დაინტერესებული მხარისას“.



„ნაციონალიზებულია“, — დაწერა კუბელმა, გადახაზა რა საზიზღარი სიტყვები „ამერიკული კომპანია“. ეს უშმაკო, ღრმაგაზრავანი ნახატი ამოღებულია ჩვენს მიერ კუბური ჟურნალიდან „ბოემია“.

ფაშისტები ამერიკის ხელისუფლების სამსახურში

საერუს იტონის წერილი სენატორ ფულბრაიტისადმი

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საკდესი). საერუს იტონმა სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს ფულბრაიტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც იგი იწონებს იმას, რომ სენატორმა გაკრიტიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მიმოსვლის შეზღუდვა, რაც დაიწყეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა.

ამავე დროს იტონი მოითხოვს კვლევა-ძიებას იმ ხულიგნურ დემონსტრაციებთან დაკავშირებით, რომლებიც ერთმა მუჭა დაქირავებულმა აგენტებმა მოაწყეს მთელი რიგი დელეგაციების მეთაურთა წინააღმდეგ.

იტონი კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ სენატორმა ფულბრაიტმა „სავსებით მართებულად გააკრიტიკა“ თვითნებური შეზღუდვები და აყენებს კითხვას: „ვინ იძლევა სახსრებს პროფესიონალების დასაქირავებლად, რომლებიც გარს არტყიან უცხოელთა საელჩოებს და დასდევენ უცხოელ სტუმრებს შეურაცხმყოფელი პლაკატებითა და შენიშვნებით და, მეძნელება ეს დავიჯერო, მაგრამ როგორც შემატყობინეს, ამ არასასურველ მოქმედებას მნიშვნელოვანი სახსრები ხმარდება სახელმწიფო სახსრებიდან შენიღბული სახელწოდებით“.

„მე აგრეთვე გულმოდგინედ გავეცანი თავისუფლებისათვის ეგრეთწოდებულ უნგრელ მებრძოლთა ლიდერების წარსულს, — წერს შემდეგ იტონი. — აღმოჩნდა, რომ ბევრი მათგანი წარსულში ყოფილა ოფიცერი ნაცისტური არმიისა, რომელმაც უნგრეთის ოკუპაცია მოახდინა. რასაკვირველია, ისინი იძულებული გახდნენ გამოქცეულიყვნენ უნგრეთიდან მას შემდეგ, რაც ჰიტლერი დამარცხდა“.

„ამ დაქირავებული პიკეტების საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი, — განაგრძობს იტონი, — შეიძლებოდა სასაცილოდ მიგვეჩნია, ასეთ ზიანს რომ არ აყენებდნენ შეერთებული შტატების რეპუტაციას მსოფლიოს თვალში“.

„თავაზობით დამტკიცებული პოლიციელი ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახლანდელი სესიის დროს, — აღნიშნავს იტონი, — უსარგებლო და ძვირად ღირებული წამოწყებაა, რომელიც არა მარტო აიძულებს უცხოელ დიპლომატებს იფიქრონ, რომ მათი ყოფნა აქ არ უხარიათ, არამედ კიდევაც უწყობს ხელს დემონსტრაციებს, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში, არ იქნებოდა“.

200-მანეთიანი ობლიგაციით 25.000 მანეთი

გურჯაანი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის დიდძალ ობლიგაციებს იძენენ და დიდ თანხებსაც იგებენ.

სოფელ კოლაგში მცხოვრებმა გ. მინდორაშვილმა გურჯაანის ცენტრალურ შემახვედრ სალარაში წარადგინა ამ სესხის ორასმანეთიანი ობლიგაცია, რომელსაც წინა ტირაჟში 25.000 მანეთი მოგება ხვდა.

ასე იძცევიან საბჭოთა ადამიანები

გადარჩენილია ექვსი იაპონელი მეთევზე

ვლადივოსტოკი, 29 სექტემბერი. (საკდესი). ხაბეროვსკ-ვლადივოსტოკ-სახალინ-ტოკიოს ავიახაზზე ფრენისას, ინფორმაციის ცენტრალურ ბიუროს ინფორმაციით, ავარიის შედეგად, ოთხ ადამიანს ... ოკეანეში ... ექვსი ... ...